

კოლხური ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიები

UNESCO-ს ბუნებრივი მემკვიდრეობა საქართველოში

ჩამოტვირთეთ საქართველოს ეროვნული პარკების
სამოგზაურო აპლიკაცია









UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსის მქონე ტერიტორიები: კოლხეთისა და მტირალას ეროვნული პარკები და ქობულეთისა და კინტრიშის დაცული ტერიტორიები, წარმოადგენს კავკასიის ეკორეგიონისა და შავი ზღვის აუზის უმნიშვნელოვანეს ნაწილს, გამოირჩევა უნიკალური ეკოსისტემებითა და მდიდარი ბიომრავალფეროვნებით.

საქართველოს დაცული ტერიტორიებს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსი მიენიჭა UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის IX და X კრიტერიუმების გათვალისწინებით, რომელიც გულისხმობს: მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალურობას, ცოცხალ ეკოლოგიურ და ბიოლოგიურ პროცესებს. ასეთი ტერიტორიები მოიცავს მნიშვნელოვან ბუნებრივ ჰაბიტატებს და საფრთხის წინაშე მყოფ სახეობებს. კოლხეთის და მტირალას ეროვნული პარკები და კინტრიშისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიები აღნიშნულ კრიტერიუმებს სრულად აკმაყოფილებს.


www.nationalparks.ge
საქართველოს ეროვნული პარკები

კოლხეთის ეროვნული პარკი

კოლხეთის ეროვნული პარკი ერთ-ერთი ყველაზე განსაკუთრებული და გამორჩეული ადგილია საქართველოში. პარკის ისტორია 1947 წლიდან, კოლხეთის სახელმწიფო ნაკრძალის შექმნით იწყება. კოლხეთის დაბლობი საერთაშორისო ყურადღების ცენტრში პირველად 1996 წელს მოექცა, როდესაც საქართველო შეუერთდა რამსარის კონვენციას. 1999 წელს კი შეიქმნა კოლხეთის ეროვნული პარკი, მისი ჭარბტენიანი ტერიტორიების, როგორც ეროვნული და გლობალური ღირებულების მქონე ბუნებრივი მემკვიდრეობის, დაცვა/შენარჩუნების მიზნით.

აქ 10 000 წლის წინანდელი გამყინვარების პერიოდიდან შემორჩენილი სფაგნუმი ზრდას არასდროს წყვეტს და ტორფის წარმოქმნის პროცესი დღესაც უწყვეტად გრძელდება. კოლხეთის ეროვნული პარკი უმნიშვნელოვანესი ადგილია წყლის ფრინველთა მიგრაციისთვის ჩრდილოეთ ევრაზიასა და აფრიკას შორის.

კოლხეთის სრულიად განსხვავებული კლიმატი ხელსაყრელ პირობებს ქმნის განსაკუთრებული ჰაბიტატებისა და უნიკალური სახეობების არსებობისათვის. პარკში შემორჩენილია იშვიათი მცენარეები, რომლებიც დღეს მხოლოდ შორეული ჩრდილოეთის ტუნდრისა და ტაიგის ჭაობიანი ეკოსისტემებისთვისაა დამახასიათებელი. აქ 200-მდე სახეობის ფრინველი ბინადრობს, იზამთრებს და მიგრირებს, ასევე გავრცელებულია 90-მდე სახეობის თევზი.


www.nationalparks.ge
საქართველოს ეროვნული პარკები

მტირალას ეროვნული პარკი

საქართველოს საზღვაო კურორტ ბათუმიდან 15 კმ-ში მდებარე მტირალას ეროვნული პარკი ყოველთვის იქცევდა ვიზიტორთა და ბუნების დამცველთა ყურადღებას. სწორედ მისმა უნიკალურმა კოლხურმა ტყემ და უიშვიათესმა ბუნებამ განაპირობა ის, რომ მტირალას ეროვნულ პარკს UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსი მიენიჭა.

მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორია 95% გაუვალი ტყითაა დაფარული, ტერიტორიაზე ძირითადად გავრცელებულია კოლხური ტყე. იგი კავკასიაში ყველაზე ნალექიან ადგილად ითვლება.

მტირალას ეროვნული პარკი, გამოირჩევა ენდემური, რელიქტური და გლობალურად გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების მრავალფეროვნებით, რაც მსოფლიო მნიშვნელობის ღირებულებას წარმოადგენს. ტერიტორია გამოირჩევა მდიდარი მცენარეული საფარით, იგი მოიცავს კოლხური ტყეებისთვის დამახასიათებელ ყველა ელემენტს.


www.nationalparks.ge
საქართველოს ეროვნული პარკები


კინტრიშის ეროვნული პარკი

საქართველოს საზღვაო კურორტ ქობულეთის სანაპიროდან სულ რაღაც 24 კმ-ში კინტრიშის დაცული ტერიტორიები მდებარეობს. უნიკალური კოლხური ტყეებით გამორჩეული ტერიტორია ერთ-ერთია, რომელმაც UNESCO-ს ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსი მოიპოვა.

კინტრიშის დაცული ტერიტორიების დაახლოებით 92% ტყითაა დაფარული და საქართველოს დაცულ ტერიტორიებს შორის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ტყით დაფარული ფართობია. აქ თქვენ აღმოაჩენთ უძველესი და გლობალურად გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობათა მრავალფეროვნებას.

აქ სრულადაა შემონახული მესამეული გამყინვარების პერიოდის ტყის უძველესი სახეობები, რომლებიც ცნობილია „კოლხური ფლორის“ სახელწოდებით.

კინტრიშის დაცული ტერიტორიები ძუძუმწოვრების 48 სახეობის საბინადრო ადგილს წარმოადგენს; აქ აღწერილია საქართველოს „წითელი ნუსხის“ 6 სახეობა, მათ შორის, 4 სახეობა შეტანილია ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) “წითელ ნუსხაში” საფრთხეში მყოფი ან მოწყვლადის სტატუსით.


www.nationalparks.ge
საქართველოს ეროვნული პარკები

ქობულეთის ეროვნული პარკი

ქობულეთის ზღვის სანაპიროდან სულ რაღაც 2 კმ-ში ქობულეთის უნიკალური დაცული ტერიტორიები მდებარეობს. უძველესი ცოცხალი ეკოსისტემები, ველური, ხელუხლებელი ბუნება, ფლორისა და ფაუნის ხანგრძლივი ევოლუციური პროცესი, ფრინველთა მიგრაცია, გამორჩეული გეოლოგია - ყოველივე ამის გათვალისწინებით, ქობულეთის დაცული ტერიტორიები წარმოადგენს უნიკალურ და უმნიშვნელოვანეს ადგილს არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო მასშტაბით.

ქობულეთის დაცული ტერიტორიები, დედამიწის ჩრდილო ნახევარსფეროს სუბტროპიკულ სარტყელში, დღემდე მიკვლეული და შესწავლილი ერთადერთი ტორფნარია, რომელიც ფლორისტული შემადგენლობით ტუნდრისა და ტაიგის ტიპის ჭარბტენიან ეკოსისტემებთან მსგავსებას ამჟღავნებს.

ტორფნარები უზრუნველყოფენ კლიმატური პირობების სტაბილიზაციას, აკავებენ ეროზიას, ინარჩუნებენ ადგილობრივ უნიკალურ ბიომრავალფეროვნებას, უზრუნველყოფენ მტკნარი წყლის დაგროვებას, შენახვას და არეგულირებენ ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დინებას, გავლენა აქვთ წყლის ხარისხზე, არეგულირებენ საკვები ნივთიერებების ბალანსს.

ტერიტორია გლობალურად განსაკუთრებული მნიშვნელობისაა პერკოლაციური ჭაობების გამო, რომელიც მსოფლიოში სხვაგან არსად არსებობს, ეს ჭაობები ითვლება უმარტივესი და „იდეალური“ ტიპის ჭაობებად, რადგან პრაქტიკულად მხოლოდ ატმოსფერული ნალექებით საზრდოობენ.



www.nationalparks.ge

unesco

The Colchic Rainforests and Wetlands
World Heritage since 2021

გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტრო

სსიპ დაცული
ტერიტორიების
სააგენტრო

საქართველოს
ეროვნული
პარკები